

შპს „საჭაშნიკე“

ფინანსურ ანგარიშებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „საჭაშნიკე“ (ს/ნ 236033092) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მცხეთის რაიონის სასამართლოში რეგისტრაციის ნომერი 46/5/ზ-142-შ; 16/12/2002

ხელმძღვანელობის წარმომადგენლობა

დირექტორი - 01011069108 ჯუმბერ ტოგონიძე

იურიდიული მისამართი: მცხეთის რაიონი მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორია

საქმიანობა-სარესტორნე მომსახურეობა

მესაკუთრე	გვარი,სახელი	წილი
01023000798	ციცინო ტოგონიძე	24 %
01008020381	დიმიტრი ალავიძე	22 %
01023002265	ლაშა ტოგონიძე	13.5%
01008014280	გიორგი ალავიძე	12,5 %
01024023921	არჩილ ტოგონიძე	2 %
01006014961	ელგუჯა გაბუნია	1 %
12001036258	კარლო ტოტოლაშვილი	1 %
01023000799	ნატა ტოგონიძე	4 %
01023002083	ნინო ტოგონიძე	4 %
01024022959	ქეთევან ალავიძე	10 %
01008033971	რუსუდან დავითაია	1,5 %
01008025496	ნინო დავითაია	1,5 %
01030029890	მედეა მაჩაიძე	2%
01005006657	ირაკლი მაჩაიძე	0,66 %
01008024502	დავით მაჩაიძე	0,67 %
01019053040	გიორგი ვაჭარაძე	1 %
01030033873	მარეხი ტოგონიძე	4,8 %

2. მომზადების საფუძვლები

2.1. შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

საწარმოსათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ნაშთებს 2024 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3. ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1. აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. მსს ფასსტანდარტები, საგადასაზადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად. ჟგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „ინფო-საწარმო“. საწარმო მიეკუთვნება მესამე კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან. ოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შაწარმოო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.

მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.

აქტუვი წარმოადგენს ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.

დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას აკუთვნებს.

3.2. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური—ეროვნული ბანკისმიერ დაგკენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილი თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. სავალუტო კურსი მიმდინარე პერიოდებში ლარის მიმართ ასე გამოიყურება:

<u>31.12.2021 ერთი აშშ დოლარი= 3,09</u>	<u>ერთი ევრო= 3,50</u>
<u>31.12,2022 ერთი აშშ დოლარი= 2,70</u>	<u>ერთი ევრო= 2,88</u>
<u>31.12,2023 ერთი აშშ დოლარი =2,69</u>	<u>ერთი ევრო= 2,97</u>

3.3. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდებადარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღებიანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც:

საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე.

საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან.

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ.

მომსახურების სახეები დატალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

3.4. იჯარა

ბას 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში – საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღიარებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიან მიღებული შემოსავლები – შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.5. ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცელკე იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისათვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისათვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია

შენობა-ნაგებობებისათვის 15-25 წელი

ტრანსპორტისათვის 5-7 წელი,

საოფისე ინვენტარი – 5-8 წელი,

სამაცივრე საშუალებებისათვის – 5-8 წელი,

სამაცივრე ნაგებობისათვის – 7 წელი,

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისათვის გამოყენების ვადის შესაბამისად.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. ქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. (იხ. ფასს 13 - 'სამართლიანი ღირებულების შეფასება~)

3.6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე (წრფივი მეთოდით) მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს მისი გამოყენების ვადის პერიოდს

3.7. სასაქონლო–მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

შასაქონლო–მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

საწარმოში არამატერიალური აქტივი წარმოდგენილია პროგრამის სახით

3.8. ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39–ის მოთხოვნების შესაბამისად.

ინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრი ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები: ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდ წილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმოო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია.

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა.

საწარმო ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მეტი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს. უიმედო ვალის თანხა უმნიშვნელოა და არა არსებითი. უზრუნველყოფის ყველა საგანი გადაცემული ან რეალიზებულია საწარმოსთვის, თუ მომდევნო წელს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება, ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. ჩამოწერის ამოღების შემთხვევაში იგი აისახება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი სამართლიანი ღირებულებით და შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (მინუს გაუფასურების რეზერვი). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

დგინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს მათი სრული ღირებულების დაბრუნებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების მიხედვით.

რეზერვების მოცულობა განისაზღვრება სხვაობით აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება სხვადასხვა ტიპის კორექტირებით და დანაკარგებით და ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სავაჭრო მოთხოვნები, რომელთა ამოღება შეუძლებელია, ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გავლით. უკვე ჩამოწერილი თანხების დაბრუნების შემთხვევაში ისინი კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება არის ვალდებულება, რომელიც ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში წარმოიქმნება უკვე მიწოდებული საქონლით ან/და გაწეული მომსახურებით, რომლის საფასურიც ჯერ არ არის გადახდილი. ეს დავალიანებები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად, თუ მათი დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში, როცა დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს, ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. არსებული მდგომარეობით, მოსალოდნელია რომ კომპანია თავის სავაჭრო ვალდებულებებს დაფარავს ერთი წლის განმავლობაში და ისინი კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ვალდებულებების ცხრილი: 31,12,2023 მიმდინარე 15 იანვრის პერიოდითაა.

საწარმოს მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაუფარავი ვალდებულებები არ ერიცხება.

3.9. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების თარიღისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენის ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროებითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად. აღილი ააქვს გაწეული ერთჯერადი ან მომსახურების ანაზღაურობასაც. განაცემი ხორციელდება საანგარიშო თვის ბოლო რიცხვებში.

3.11. კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ჩვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას, სარეზერვო კაპიტალს, გადაფასების რეზერვს.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4 863 017	6 217 645

5. რეალიზაციის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება/შემძენის/ხარჯი	2 926 640	3 708 898
---	-----------	-----------

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები

	2022 წ.	2023წ.
უსასყიდლო საქონელი	6713	3898
	00	00
სხვა შემოსავალი	00	3958
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	00	00
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	4504	00
საკურსო სხვაობით მიღებული სარგებელი	00	00
შემოსავალი სარეკლამო, მარკეტინგული მომსახურებიდან	2707	00
ჯამი:	7214	3898

7. ადმინისტრაციული, სხვა ხარჯები

	2022	2023
სარეკლამო და სხვა სამეურნეო ხარჯები	9237	14600
საპენსიო ფონდი	10033	14099
პროგრამის ხარჯი	3600	5380
სატრანსპორტო და მიმდინარე ხარჯები	5200	5800
დაცვის ხარჯი	3630	1780
საოფისე ხარჯები, მცირე ინვენტარი	8700	3800
რემონტის ხარჯები, მიმდინარე დამხმარე ხასიათის	12700	00
კომუნიკაციების ხარჯი ენერგია, წყალი, გაზი	256172	283424
საკონსულტაციო ხარჯი	6000	6900
ბანკის სკომისიო	48989	132223
სხვა საგადასახადო ხარჯი	29759	27489
გამგეობა	20400	14400
სხვადასხვა ხარჯი, სამეურნეო დამხმარე	13959	14617
იჯარით გაცემულ ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯი	00	00
ტელეფონის ხარჯი	5593	6800
კომპიუტერის ხარჯი	115	1498
სხვა	00	8572
ჯამი:	434087	541382

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა, ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საგადასახადო და ფინანსური აღეცხვის დროებითი განსხვავებების გამო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს გააჩნდა გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის სახით. საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად შეიცვალა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმი. შესაბამისად მოგების გადასახადის აქტივის გამოყენების შესაძლებლობა მოიხსნა. საწარმომ აღნიშნული აქტივის ჩამოწერა ასახა მოგება-ზარალში.

8. ფინანსური ხარჯი

2022წ.

2023 წ.

საპროცენტო ხარჯი ბანკის საგარანტიო მომსახურებაზე	00	00
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხზე	00	00

ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებებში გარანტორს პირადი ქონების უზრუნველყოფით წარმოადგენს დამფუძნებელი.

მიმდინარე პერიოდებში სასესხო ვალდებულება და პროცენტი დარიცხული და გადახდილი არ ყოფილა

9. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლებით.

საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს სრულად განაწილების შემთხვევაში.

2022

2023

დარიცხული მოგების გადასახადი	55733	73378
------------------------------	-------	-------

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“. დარიცხვა ხორციელდება 98 პრიმა 1, 2, 3, 4 მუხლებით გაწეულ ხარჯებზე.

10. კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება როგორც საწარმოში დამფუძნებლების შენატანი სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში. საწესდებო კაპიტალში შენატანი განხორციელებულია დაფუძნების მომენტში, ზოგადი კაპიტალი პერიოდის ბოლოს წარმოდგენილია ცხრილის სახით

11. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება. მოგების განაწილება ხორციელდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით/ გასაცემი დივიდენდი,სარეზერვო კაპიტალი,საქველმოქმედო ფონდი/ ფონდის ხარჯი კონტროლდება შემოსავლებისა და ხარჯების 1%,და წინა საანგარიშო წლის მოგების 10%-ის გათვალისწინებით,
მიმდინარე წლის დივიდენდის ხარჯმა , შეადგინა: 415 813 ლარი

13. ფულადი სახსრების აღრიცხვა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოქმედებს მცირე საღაროს სისტემა. საღაროს კონტროლი ხორციელდება დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ნამეტი თანხა შეიტანება საბანკო ანგარიშზე.

ფულადი სახსრების მოძრაობა
(ლარი)

2022 წ. 2023 წ.

საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	4 875 023	6 228 303
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული თანხები	-3 794 397	-4 925 698
გადახდილი გადასახადები	-575 789	-667 900
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		
გადახდილი მომსახურება		
გადახდილი სხვა		
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	504 837	634 705
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შესაძენისა და გაუმჯობესებისათვის	-169 221	-90 305
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		
ნეტო საინვესტიციო საქმიანობიდან	-169 221	-90 305
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		
სესხის ძირის გადახდა		

სესხის პროცენტის გადახდა		
დივიდენდის გადახდა	-368 448	-415 813
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-368 448	-415 813
სავალუტე კურსის ეფექტი		
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან გასვლა წლის განმავლობაში	-32 832	128 755
ფულადი სახსრები წლის დასაწყისიდან	170 397	137 397
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	137 565	266 152

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი

2022წ.

2023წ.

სავაჭრო მოთხოვნები	1890	1838
გადახდილი ავანსები	49050	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50940	50925

საწარმოში საექვო/უიმედო/ დავალიანებები არ ირიცხება, ყველა მოთხოვნა დაფარულია მიმდინარე პერიოდებში.

15. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (შემდგომში – სმფ) – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ-ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;

2022

2023

გადასაყიდად გამზადებული საქონელი	54184	50925
სხვა მარაგები და ინვენტარი	194283	248245

16. ძირითადი საშუალებები

სააღრიცხვო პოლიტიკითა და ფასს სტანდარტების გათვალისწინებით ქონება დაჯგუფებულია საქმიანობისა და ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები~ - შესაბამისად.

2022-2023 წლების ქონების სტრუქტურა

ოპერაციის შინაარსი	შენიშვნები	დანადგარები, სამაცივრე საშუალებები	გარე პერიმეტრი ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერი ა-ლურიაქტივები	სულ
2022წ. შეძენა	45195	30262	1000	92763	00	169220
ცვეთა და გაუფასურება	246210	6964	15264	31552	00	299990
გასხვისება	00	00	00	00	00	00
ჩამოწერა	00	00	00	00	00	00
31 დეკემბერი 2022 წელი	2 110 746	52227	83818	138524	00	2 385 319
2023წ. შეძენა	00	10715	34806	44784	00	90305
ცვეთა და გაუფასურება	255249	2304	7230	33695	00	298478
გასხვისება	00	00	00	00	00	00
ჩამოწერა	00	00	00	00	00	00
31 დეკემბერი 2023 წელი	1 855497	60638	111394	149613	00	2177146

მფლობელთა კაპიტალი 2022-2023 წ.

პერიოდი	საწ კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	წმინდა მოგება		სულ საკუთარი კაპიტალი
01,01,2023	195552	00	2626113	9424		2831089
შემოვიდა	00	00	00	494252		494252
გაიხარჯა	00	00	205860	366982		572842
31,12,2023	195552	00	2420253	134694		2750499

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ,სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცხრილი, ხანდაზმულობის პერიოდი:

პერიოდი	<30 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-დღე 1 წელი	1 წელი- 3 წელი	< 3 წელი	ჯამი
2023		1521			317		1838
2022				1573	317		1890

ინფორმაციის სესხის შესახებ:

	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	დარიცხული %	გადახდილი %
2023	00	00	00	00
2022	00	00	00	00

სასესხო მოთხოვნა ან ვალდებულებები არ ფიქსირდება

ქვეკონტრაქტით შესრულებული სამუშაოები

	2022 წ	2023 წ
მიღებული სამუშაო	00	00
მიღებული ავანსი	00	00
გაცემული სამუშაო	00	00
გადახდილი ავანსი, მოთხოვნები	49050	13035

ფინანსური მდგომარეობა			
შპს საჭაშნიკე			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	266152	137565	170397
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1838	1890	2217
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	13035	49050	28857
მარაგები	299170	248467	186286
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	299170	248467	186286
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	50925	28908	6559
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	17446	17446	17446
ძირითადი საშუალებები	2177146	2385319	2516088
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2825712	2868645	2927850
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	4624	0	6799
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	70584	37551	24526
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0

მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	5	5	5
სულ ვალდებულებები	75213	37556	31330
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	195552	195552	195552
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	134694	9424	14385
გადაფასების რეზერვი	2420253	2626113	2686583
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2750499	2831089	2896520
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2825712	2868645	2927850
სულ მოკლევადიანი აქტივები	631120	465880	365459
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	75123	37556	31330

საქმიანობის შედეგები		
შპს საჭაშნიკე		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	6221603	4870231
საქონლის გაყიდვიდან	6217645	4863017
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	3958	7214
გაყიდვების თვითღირებულება	-3708898	-2926640
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0

გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2512705	1943591
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1178594	-787887
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-298477	-299990
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-541382	-434087
სულ საოპერაციო ხარჯები	-2018453	-1521964
საოპერაციო მოგება	494252	421627
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-85651	-45195
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	408601	376432
მოგების გადასახადის ხარჯი	-73378	-55733
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	335223	320699
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	335223	320699
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2831089	2896520
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-415813	-368450
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-17680
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2750499	2831089

ფულადი სახსრების მოძრაობა		
შპს საჭაშნიკე		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	634705	504837
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-90305	-169221
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-415813	-368448
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	128587	-32832
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	137565	170397
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	266152	137565

შპს „საჭაშნიკე“-ს დირექტორი: